გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 112

2023 წლის 9 ივნისი
ქალაქი გორი

ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს“ (ს/ნ 418478034) 2022 წლის ივნისიდან მიმდინარე პერიოდამდე საქმიანობის ფინანსური ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს“ (ს/ნ 418478034) 2022 წლის ივნისიდან მიმდინარე პერიოდამდე საქმიანობის ფინანსური ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტოს“ (ს/ნ 418478034) 2022 წლის ივნისიდან მიმდინარე პერიოდამდე საქმიანობის ფინანსური ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 2 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

ფინანსური ანგარიში
(01.06.2022 – 31.12.2022 წ.წ.)

ა(ა)იპ მისაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალურ სააგენტოს საშტატო ნუსხა განსაზღვრულია 59 ადამიანით, საიდანაც დასაქმებულია 55 ადამიანი, აქედან შტატიანი თანამშრომელია 11, ხოლო შტატგარეშე 44. თანამშრომელთა უფლებამოვალეობანი განსაზღვრულია სააგენტოს დებულებით და შინაგანაწესით.

ა(ა)იპ მისაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალურ სააგენტოს 2022 წლის ბიუჯეტი წლის დასაწყისში განისაზღვრა 905 000 ლარით, რომელიც დაზუსტდა ნოემბრის თვეში და დაემატა 60 000 ლარი, სულ 965 000 ლარი.

2022 წლის 1 ივნისიდან წლის ბოლომდე გახარჯულია 532 951 ლარი, აქედან:

- შტატში მყოფ თანამშრომელთა ანაზღაურება 92 698 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 246 935 ლარი;
- მივლინების ხარჯი - 150 ლარი;
- ოფისის ხარჯი- 52 618 ლარი;

ოფისის ხარჯებში შედის ძირითადად კომუნალური გადასახადები და ვოლიერების და ოფისის რეცხვა/ქიმწმენდისა და დასუფთავების ხარჯები.

- ცხოველთა კვების ხარჯები - 44640 ლარი;
- სამედიცინო ხარჯი - 24480 ლარი;
- რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯი - 4760 ლარი,
- საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი - 39 365 ლარი;
- ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის და რემონტის ხარჯები - 22 315 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება- 4990 ლარი;

2022 წლის 1 ივნისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 2880 ლარი.

ფინანსური ანგარიში
(01.01.2023 – 01.05.2023 წ.წ.)

ა(ა)იპ მისაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალურ სააგენტოს 2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 1 157 772 ლარით.

2023 წლის 1 იანვრიდან 1 მაისამდე გახარჯულია 327 934 ლარი, აქედან:

- შტატში მყოფ თანამშრომელთა ანაზღაურება 60 941 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 170 228 ლარი;
- მივლინების ხარჯი - 300 ლარი;
- ოფისის ხარჯი- 48 241 ლარი;

ოფისის ხარჯებში შედის ძირითადად კომუნალური გადასახადები და ვოლიერების და ოფისის რეცხვა/ქიმწმენდისა და დასუფთავების ხარჯები.

- სამედიცინო ხარჯი - 20 041 ლარი;
- საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი - 13 053 ლარი;
- ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის და რემონტის ხარჯები - 7465 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება- 264 ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 1221 ლარი;
- არაფინანსური აქტივების ზრდა - 6180 ლარი

2023 წლის 1 იანვრიდან 1 მაისამდე საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 1703 ლარი.